გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ბექა ლობჟანიძის

2023 წლის 1 ნოემრბიდან 2024 წლის 1 ნოემბრამდე გაწეული საქმიანობის

ანგარიში

2023 წლის 1 ნოემბრიდან 2024 წლის 1 ნოემბრამდე დავესწარი გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 12 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 183 საკითხის განხილვაში. დავესწარი საკრებულოს ბიუროს 25 სხდომას და 397 საკითხის განხილვაში მივიღე მონაწილეობა.

ვარ ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" წევრი დავესწარი ფრაქციის 6 სხდომა და მონაწილეობა მივიღე 73 საკითხის განხილვაში.

ასევე ვარ საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრი დავესწარი 13 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 20 საკითხის განხილვაში.

ვარ ჯანდაცვის, განათლების, სპორტის, კულტურის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი, დავესწარი კომისიის 11 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 23 საკითხის განხილვაში.

ერთობლივი კომისიების 2 სხდომას, სადაც განხილულ იქნა 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი და მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი.

საკრებულოს უმრავლესობის 2 სხომას, განხილული იქნა - 31 საკითხი.

მთელი წლის განმავლობაში სისტემატიურად ვხვდები როგორც საკრებულოში მოსულ მოქალაქეებს სხვადასვა საკითხებთან დაკავშირებით, ასევე ჩემს მაჟორიტარულ ოლქში, სადაც გამოიკვეთა მთელი რიგი პრობლემები:

- თამარ მეფის 4 კვარტლის მე-11 კორპუსის შიდა ეზოს მოსაასფალტება;
- ძმები რომელაშვილების #181 კორპუსის ბინის სადარბაზოების რეაბილიტაცია;
- კირიონ მეორის ქუჩის მოასფალტება;
- ყოფილი სისხლის გადასხმის სადგურის დასახლების მრავალსართულიანი ბინების ეზოს მოასფალტება;
- სტალინის #6 მრავალსართულიანი ბინის ეზოს მოასფალტება;
- ჩოჩიშვილის #1 ეზოს მოწესრიგება;
- ჩოჩიშვილის #8 ბინის უკან მისასვლელი გზის მოასფალტება;
- ჩოჩიშვილის #4 - სა და #6 შორის არსებული სივრცის მოწესრიგება;
- ძმ.რომელაშვილების #176 შიდა ეზოს მოასფალტება და #178 - ის უკან ეზოს მოწესრიგება;
- თამარ მეფის 4 კვ. კორპუსი #10 კანალიზაცია და ეზოს მოასფალტება;
- ძმ.რომელაშვილების #9/ა ეზოს კანალიზაცია და მოასფალტება;

- თამარ მეფის 5 კვ კორპუსი #14 და #15 კანალიზაციის პრობლემა;
- თამარ მეფის 5კვ. კორპუსი #18 ეზოს მოწესრიგება, რადგან ეზოში ჩამოედინება კვერნაქიდან ჩამოსული წყალი.
- ძმები რომელაშვილების #179 გასაკეთებელია სკვერი და კანალიზაცია;
- რუსთაველის #7-#9 საერთო ეზოს მოასფალტება;

აღნიშნული პრობლემების ნაწილი მოგვარებულ იქნა, ნაწილი აისახება მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტში.

სრულად და ნაწილობრივ მოგვარდა:

- დაემატა ქ. გორში აღმაშენებლის ქუჩის მაცხოვრებლებს გეპეის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე ტრანსპორტის რამოდენიმე მარშრუტი;
- გამოიცვალა გორიჯვრის ქუჩის ბოლოში დაზიანებულია საკანალიზაციო მილი;
- გაკეთდა ქ. გორში, ძმები რომელაშვილების #179-ის ტერიტორიაზე განთავსებულია უთავსახუროდ დარჩენილი საკანალიზაციო ჭები;
- ქ.გორში, თამარ მეფის ქუჩა N126-ში (ყოფილი სისხლის გადასხმის სადგური) რამოდენიმე ოჯახს ნაწილობრის მოუგვარდათ ელექტროენერგიის პრობლემა.
- მოასფალტდა სტალინის #11 მრავალსართულიან კორპუსთან მისასვლელი გზა, , კრივის სკოლასთან, ცენტრალური სასპორტო სკოლასთან მისასვლელი გზა;
- ძმები რომელაშვილების #178 -ში გაკეთდა საკანალიზაციო სისტემა და მოასფალტდა ეზო;
- ძმები რომელაშვილების #182, #180 #186 და #190 მრავალსართულიანი ბინებში მოასფალტდა ეზო;
- გამოიცვალა ძმები რომელაშვილების #179 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავი;
- მოასფალტდა თამარ მეფის 5 კვ. #24, კორპუსი #23, 20, 20ა, 13, 13ა, 13ბ, 3 კვ. პირველი და მე-4 კორპუსი ეზო 4კვ. 4ა ეზო;
- სრულიად უტარდება რეაბილიტაცია სტალინის 11ა-ში მდებარე კრივის სპეციალიზირებულ სპორტულ სკოლას;
- მოასფალტდა ძმები რომელაშვილების პირველი, მე-3 და მე-5 ეზო;

განვლილ პერიოდში საკრებულოს წინაშე მქონდა ინიციატივა - ქ. გორში მდებარე გეოგრაფიული ობიექტისთვის ევროპის მოედნის სახელის მინიჭების შესახებ;

ამასთან ერთად აქტიურად ვარ ჩართული მუნიციპალიტეტის როგორც საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების, ასევე მერიის სამუშაო ჯგუფების საქმიანობაში, როგორიცაა გორის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო. გარდა

ამისა აქტიურად ვმონაწილეობ საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ მუშაობაში.

აქტიურად ვარ ჩართული მუნიციპალიტეტის როგორც საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების, ასევე მერიის სამუშაო ჯგუფების საქმიანობაში და მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დაგეგმვაში და პრიორიტეტების დოკუმენტის შემუშავებაში.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ბექა ლობჟანიძის

ამომრჩევლებთან შეხვედრის დამადასტურებელი

ოქმი

ქ.გორი 2024 წლის 30 ოქტომბერი

სხდომას ესწრებოდნენ :

საკრებულოს თავმჯდომერე: დავით რაზმაძე;

ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"- ფრაქციის თავმჯდომარე: კობა ბერიანიძე;

საკრებულოს წევრი: ბექა ლობჟანიძე;

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: ქ.გორის მოსახლეობა, და საკრებულოს აპარატის სპეციალისტი ინგა ტარიელაშვილი;

სხდომას თავმჯდომარეობდა: დავით რაზმაძე.

დღის წესრიგი

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ბექა ლობჟანიძის 2023 წლის 1 ნოემბრიდან 2024 წლის 1 ნოემბრამდე გაწეული საქმიანობის ანგარიში

სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე პირებს წარუდგინა საკრებულოს წევრი ბექა ლობჟანიძე და გააკეთა განმარტება, რომ საკრებულოს ყველა წევრი ვალდებულია წელიწადში ერთხელ მაინც, არაუგვიანეს 1 ნოემბრისა, ამომრჩეველს წარუდგინონ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვისას უპასუხონ ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს.

სხდომის დღის წესრიგის მიხედვით სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საკრებულოს წევრს ბექა ლობჟანიძეს, რომელმაც დეტალურად ისაუბრა 2023 წლის 1

ნოემბრიდან 2024 წლის 1 ნოემბრამდე განვლილ პერიოდიში მის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ. აღნიშნა ის გამოწვევები და სიკეთეები რაც თან ახლდა მოსახლეობის პრობლემების მოგვარებას. მოსხალეობის მხრიდან დაისვა შეკითხვები, რომლებიც ძირითადად ეხებოდა ინფრასტუქტულულ პროექტებს და სოციალურ პრობლემებს. საკრებულოს წევრმა ბექა ლობჟანიძემ აღნიშნა, რომ იგი აქტიურადაა ჩართული მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის შედგენის და პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადებაში, სადაც ასევე იქნება მოსახლეობის ის პრობლემები ასახული რომელის გაკეთებაც ვერ მოხერხდა ამ წლის ბიუჯეტიდან.

აზრი გამოთქვეს: ლეილა ოხანაშვილმა და გიორგი ანანიაშვილმა.

გადაწყვიტეს: პრობლემების გამოვლენის და აღმოფხვრის მიზნით გაიზარდოს მოსახლეობის ჩართულობა, რისთვისაც უფრო სისტემატიური ხასიათი მიიღოს საკრებულოს წევრების და ამომრჩევლების ურთიერთშეხვედრებმა და ურთიერთ თანამშრომლობამ.

სხდომის თავმჯდომარე: დავით რაზმაძე;

საკრებულოს წევრი : ბექა ლობჟანიძე.